ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №16
2019 წლის 3 ივნისი

ქ. ყვარელი

„ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2019 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2019 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 იანვრის №3 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16/01/2019,010250050.35.164.016343), კერძოდ:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და რეაბილიტაციის ხელშეწყობა, ტუბერკულოზის, აივ ინფექციისა და C ჰეპატიტის ადრეული გამოვლენის ხელშეწყობა და საზოგადოებაში მისი გავრცელების პრევენცია.".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ქევხიშვილი**